

სახალხო განათლების  
კომისარიატი

საქართველოს  
წიგნის პალატა  
31 " VIII 1932 წ.  
№ 356  
ს. თბილისი



# ნიანნი

## № 18


ივლისი  
1932 წ.  
ფასი 2.5

თრსბა-ბაღმირაძე

დეკრეტი № 215

ფ. ი. მ.	პირი	სახელი	დაბადების	მამის
...	...	...	...	...
...	...	...	...	...
...	...	...	...	...
...	...	...	...	...
...	...	...	...	...

სახ. რმონი



ფილოსოფოსი უემოკრბენ და ამაზე აქვთ ცილობა:  
—რომელი ენის იქნებას დებუის დაწერილობა?

სხვადასხვა აზრებს გამოხატვამს ისტორიკოსთა ყრილობა.  
ვერ მიხვდენ, თავსა იბტვირებენ, დასჩენდათ დაღრევილობა.

კრტიკა

თუმცა ნიანგს სმენა, სედვა  
მახვილი აქვს მეთად მძაფრო,  
მაგრამ მის მაინც გამორჩა  
ჩვენი ფოსტა-ტელეგრაფი.

ის საკმაო ყურადღებას  
ვერ აქცევდა ამ უწყებას,  
ლამის იყო ერთი დარგი  
მთლად მიეცა დავწყებას.

ფოსტა-ტელეგრაფის გმირებს  
უნაროდათ ეს ამბავი,  
მაგრამ მათაც გაუთენდათ  
ზაფხულის დღე ერთი შავი!

როდესაც არ მოელოდნენ  
არავითარ საფრთხეს, ზიანს,  
რაც გადაეფარებოდა  
ჩრდილ-ბურუსად მათ დღეს მზიანს,

სწორედ ამ დროს მიატოვა  
ნიანგმა თავის ბუნავი,  
ფოსტა-ტელეგრაფის კარებს,  
მიადგა ის პირ-მსუნავი.

ჩვეულებრივ დინჯ ნაბიჯით  
მან შენობის კიბე აულო  
და ცნობისმოყვარეობით  
ყველგან თვალი მიმოაგლო.

ძნელად წარმოადგენია  
ამ დროს რაც იქ დატრიალდა:  
სუყველაფერი შეინძრა,  
აბოხოქრდა, აწრიალდა!

თვით ნიანგსაც გაუკვირდა:  
— „უჩვეულო რა ვქენიო!  
აღბად მეთად არეულო  
იქნება აქ საქმენიო!“

ქალებს გული წაუვიდათ,  
ცივ ოფლს ასხამს მამაკაცებს,  
ნიანგს ისე შეცქერიათ,  
ვით ქორს, ქათმების გამტაცებს!  
ის ამბავი, რაც რომ მოხდა  
იმ დღეს ფოსტა-ტელეგრაფში,  
იშის მაჩვენებელია,  
რომ ჩაიფლდა იგი ღაფში!

მან რომ შეხვალს შეხრულება  
ცხოვრების მოთხოვნილებას,  
ხამს უფრო გამახვილება  
ნიანგის ნახრი კბილებს!

ის ამ დაწესებულებას  
უნდა სწირ-ხშირად ეწვიოს,  
თავის საკბილო უღუფა  
მან ახარ თხიშლად ეძიოს!..

ს. თ—ია.

## ჩვენი ფოსტის მიღწევა

(იხ. ნახატი პირველ გვერდზე)

ფილოსოფოსნი შემოკრბენ, იმაზე შკონდათ ცლოდა:  
— რომელი ენით იქნების დებუის დაწერილობა.  
სულ სხვადასხვა აზრს გამოსთქვამს ისტორიკოსთა ყრილობა.  
ვერ მინდდენ, თავსა იმტერევენ, დასხემდათ დადრევილობა.

ერთი ამბობს, რომ „არ არის ენა და შრიფტი ქართული.  
აზრი არის არ ზვავს, შრიფტი-შრიფტს, არის რაღაცა ხლართული.  
არადროს იყო ქართული ეგვომ მახინჯი და რთული...  
არაბულია, რას ხმობს ციფრები აქვე დართული“.

სხვა ამბობს: „მეცნიერებო, მე ამ აზრის თქმა მწადია:  
რომ ეს ქართული არ არის, ეს ყველასათვის ცხადია.  
შრიფტი შრიფტზეა ასხმული როგორც შამფურზე მწვადია;  
მარსიდან არის დებუმა, თქვენთან მოთქვამს კვლავ ღია“.


მესამე იტყვის: „შრიფტია პრეისტორიული ხანისა;  
ორში ერთია: ჩინური, ან არა—ინდოსტანისა“.

მეოთხე ამბობს: „გვეგონებს ლურსმულ წარწერას ვანისა,  
რაც ქართული არ არის, ან ეს არის ია ან ისა“.

ისმლი.

## ორი ტემპი

ნან. დონინს



დაკეზა (კუბა):— ძმობადა, როგორ გლდის სისწრაფოთა გაგაგა იაო; დააგადე მაქეთენ მოგდივარ

(საბარძო ვიწროხილვა)



ოღვიძარ ჰაერონავტით,  
გაეკარი სარმა-სარმასა,  
ბენზინით, ზეთით და ნავთით  
ქვეყნებს ვესწრაფვი გაღმასა...  
ლოზანა მოვიწახულო,  
ყუყუევა-ერთა ლაგოთა.  
აქ ერთი კრება, დავსურთ,  
რომ ეკლავ სხვა გაეხსნა რიხისა...  
სხლობა დღით, სხლობა ღამითა...  
ოქში... ოქში და ოქმები...  
ლურჯა მომიკვდა ჭამითა,  
ჩამოუსივდა ფლოქვები!..  
აღვირს დგაღმეს, წინ კი, ვერ  
იდგრის...  
ლაფში ჩაფლულა ურემი!  
გეტყვი, ქვემები არ ისვრის,,  
გაზი არ მჭონდეს უღვესი!..  
გინარაღდეს, ვისაც უკრს,  
ვისაც არ იჯდეს მორჭმითა!..  
სიცხე უჭირებს! თავი ხურს...  
ძლივს ეძღვებ წყლის მონთქმა-მო-  
სმითა...


თუ მანჯურიას ხელს აღებს,  
წინ ძვეს შანხაი-გუანი...  
რა ეჩქარება ყაჩაღებს?  
მათთვის არ არის გვიანი!..  
რომელ მხარესაც გაპკრავენ,  
სულ ერთი დავლის ველია  
დღეს თუ ერთ ბატკანს დაპკრავენ,  
ხვალეც სხვა დასაველელია...  
შოლოდ ერიდეთ, გამეგრელო!  
არ წამოგიცდეთ ბრწყალები...  
წითელ საზღვრებს დამცველო,  
ფზიზღად ყური თუ თვალები!  
მეც ჩემის ჰაერონავტით  
ვზვერავ მივებსა თუ ჭალებსა:  
ცეცხლით, ბენზინით და ნავთით  
მტრებს სულ ამოვწვავ თვალებსა!  
ერთი ვერ გაჭაქანდება  
საბჭოთა დასამხარებზე!..

აქ პოლონეთიც ბრძანდება  
რუმინთა მეფის კარებზე...  
ჩეზო და სამხრეთ სლავია  
ფებს ტყვილად იღამენ წვლებზე,  
თუ არ მოსძულდათ თავია,  
ისბდენ თავისთვის სვლებზე...  
არ არის დიდი გმირობა  
მგლის ყბაში შერია თავისა!..  
ფინეთს მოჭბაძონ, პირობა  
ჩვენთან რომ დასდო ზავისა!  
სხვებზე ჭკვიანი კაცია,  
ომს რომ არჩია ზავიო...  
სჯობს, თუ საღად სჯის ნაცია,  
არ აიტიკივოს თავიო!..  
თორემ გვიანლა იჭნება  
შემდგე თითებზე კბინაი,  
როცა სულ განიქებება  
მტერთა ზრახვანი,, ქვენანი!..  
შაზირა.

## იაკონია მანჯურიაში


ნახ. კროტკოვის

ას იწვევენ ლიგაში,  
ისიც სთანხმდება, მგონია!  
აობალ, შეუბმენ ციგაში,  
იქნება ცერემონია!..  
ფარდა აიწვეს, ადგება  
მაკდონალი და ერიო...  
ფონ-პაპენს შუბლი ასქდება:  
ვალი დამწვა ბევრიო!  
(ამჟამად დიქტატოროია,  
თაშიზმით მირონცხებული:  
მისი ეშვი და ტორია,  
ხელისუფლებად ხლებული)  
შეუმსუბუქეს ოდნადა,  
გადაალაგეს სცივრებში...  
მარკების ჩასაკორტნავად  
ნი აირტებს ჰმხარე პორებში...  
ჰუვერი გაგვიწვევს  
რეპარაციის საკითხში:  
თვითონ ქისები გატუნეს  
იუნგის გამონაროცხში...  
არ დესთანხმდება ამაზე  
ნიჟ-იორკ-ვაშინგტონითა...  
—არ არის, ბოშო, ღამაში  
მსჯელობა მსგავსი ტონითა!  
ვალების საკითხს მთლიანად  
მოწესრიგება სჭირია,  
შენ რბილებს სჭამდე ძვლიანად,  
მე მიწრებოდეს პირია...  
ეს სადაური მადლია?  
რომელი სამართალია?  
თუ შენს სალაროს აკლია,  
იგი რა ჩემი ბრალია?!..  
არ ვიცი, რით გათაკუნება.  
ესე დავა და კამათი...  
ყველა თუ გადაშავდება,  
არ მომკლავს დარდი ამათი!..  
რალაცას მსჯელობს არაკი,  
გხედავთ, თავს უკრავს საიტო,  
თუ რომ შეზვერეს ზეარაკი  
და ეკითხება: „საითო?..“



ბიჭი ვარ, მარა რა ბიჭი!  
შქვია მე იაპონია.  
ვოსკუბე კუნძულებიდან  
და გაღმევეტურე ფონია.

დიდი მაქვს ადა ჭამისა  
მე მინდა ეს მანჯურია;  
ქვა-ქვაზე აღარ დაფტოვე,  
გავწვიტე მათი ფურია.



— როგორც იქნა, ეხლა შემველა. — უთხარი ნოქარს, როცა თაროებზე შემოწყობილი ფეხსაცმელები და ვინახე. — მომეცით ერთი წყვილი ფეხსაცმელი!

— ფეხსაცმელებს ჯერ ფასი არა აქვს და არ ვყიდით. — მოკლედ შიპასუხა მან და მიუბრუნდა ქალიშვილს, რომელიც აქედან მამდგაოი ათას ნაირად ებრანჯ - ეგრისებოდა.

— ნოქარის სიტყვა კანონია. — გავიფიქრე მე და აქეთ გამოვედი კუთხეში.

— სიმონ. ერთი, ფეხსაცმელები მომეცი! — მიმართა ნოქარს ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც ჩემს შემდეგ შემოვიდა.

— რომელი ნომერი გინდა?  
— ორმოცდა ორი.

ნოქარმა ამოარჩია ფეხსაცმელი, ქალაქში შეასჯა და უცნობს (რა საკვირველია, ჩემთვის უცნობს) გადასცა.

ჯერ კიდევ გარეთ არ გასულიყო „უცნობი“, რომ ვიღაც მანდილოსანი შემოგოგმანდა და სიმონს ისეთივე მოთხოვნებით მიმართა, როგორც პირველმა, რომ არ გევაგრძელო, იმანაც ისეთივე დაკმაყოფილება მიიღო როგორც პირველმა.

კიდევ ორი წუთი და ასეთივე მოთხოვნებით მესამე შემოვიდა, მას მგოთხე შემოჰყვა, იმას — მეხუთე. ფეხსაცმელები შეთხელდნენ თაროებზე.

— ამხანაგო სიმონ (ვისწავლე მისი სახელი) მომეცით ერთი ფეხსაცმელი. — ვედრებით მიემართე ნოქარს, როცა შევატყვე, რომ მალე ფეხსაცმელი აღარ დარჩებოდა თაროზე.

მან მწყურაოდ გადმოხედა.

— ხომ გითხარი, ამხანაგო, რომ ფასი არა აქვს დადებულს მეთქი?

— მერე და ვის აინტერესებს მისი ფასი, თუ კი უფასოდ არის!

ნოქარის გვერდით მდგომი ქალიშვილი ზარივით აკისკისდა და მან ორი ნოქარის კბილი გაჩვენა გამოაჩინა.

— შენ ვიღაც სულელი ხარ. უფა სოდ როდის ქიძლეოდნენ ფეხსაცმე-



— დედი, სად მიდინარ?

— ავერ, ჩვენს ფაბრიკაში შიგლი-ვარ, შვილით; შვილს დეგეშა უნდა გაუფაზავნო, ეგებ ფაბრიკაში ჩა მოხისწროს!

ლებს! — მიტხრა ნოქარმა და თამაშად გააბოლა პაპიროსი.

— სხვებს რომ მიეცით? — ეშინჯა შეკამათება.

— სხვებს უყურებ შენ! ისინი ჩვენი თანამშრომლები არიან. ფეხსაცმელები გეჭონდეს და ჩვენი თანამშრომლები არ დავაკმაყოფილოთ?

რალა მეტყმოდა. ვიფიქრე: მართალიც არის. თუ თანამშრომლებს რაიმე აკლიათ, რალა სხვას მიჰყიდის! ბარემ თითონ წაიღონ. თათლში კაცს ხელი ჰქონდეს და თითი არ გაილოკოს!

წამოვედი იმ იმედით, რომ როცა ფასი დაედება, მაშინ ერთ წყვილ ფეხსაცმელს მაინც მომიყიდებ.

მეორე თუ მესამე დღეს შიგლი და ფასები უკვე დაედოთ, მაგრამ ფეხსაცმელები აღარ იყო.

— ამხანაგო, აკი შემბირდით, ფეხსაცმელებს მომცემდით, როცა ფასი ექნებოდა! — მიემართე ნოქარს

— ფეხსაცმელები გაიყიდა. — იყო ნოქარისგან მოკლე პასუხი.

— კი, მაგრამ, მარტო თქვენს თანამშრომლებს, რომ დაუბრუნებთ ეს სადაური კანონია?

— არა, დემრთი ვიშველის, შენ მოგცემდი და თანამშრომლებს, რომლებიც თქვენ გემსახურებთ, შიგლი დაეტოვებდი!


რალას ვიზამდი. გადავწყვიტე რაღაცა მეორე მოსვლამდი. (ქრისტეს მეორე მოსვლა არ გეგონოთ!), მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ მეორე მოსვლასაც და მესამესაც ისეთივე ბედით ეწია.

კერძო ბაზარზე შევიძინე ფეხსაცმელები, ხოლო არ იფიქროთ აქაც ფასდაუდებლად შეყიდოს! ფასდაუდებლად ნაყიდ ფეხსაცმელისათვის უკვე რამდენიმე ფასი დაედოთ და ფეხსაცმელმა ჩემამდე ისე მოაღწია.

პ. ოგოლი.

# „სრუს სიყართლესაც არ დაუჯერებენ“

ნახ. ღონის.



**ოპორტუნისტი:** — რა საუცხოვო გემრიელია თქვენი კოლექტი-ვის ვაშლები!  
**კოლმეურნი:** — ჩაიარე, ჩაიარე; არავინ გაგიგონოს, თორემ ტყუილი ეგონება!

## ს ა ლ ა თ ა ს კ ი ლ ი თ

ნაშუადღიური იყო. აბრეშუმის ფაბრიკის სამჭროებში სიჩუმე სუფევდა.

ფანჯრებიდან სინათლემ შემოიხედა, სამჭროს კედლებზე მანქანების ჩრტილები აღიმართა... სინათლე მოსამზადებელ სამჭროს კედლის გაზეთს შიგ თვალებში დაეფანჯრა და ღრმა ძილიდან გამოარკვია.

— ოო, — ამოიქლოშინა კედლის გაზეთმა, — მე კიდევ კედელზე ვარ გაკრული... პირველად, როცა მე დამაარსეს, დაადგინეს: „მოსამზადებელ სამჭროს კედლის გაზეთი „აბრეშუმი“ გამოიცეს თვეში სამჯერ“. მაგრამ სიტყვა შეაბრუნეს და მიშვებენ სამ თვეში ერთხელ.

რა არის იგი ბრძოლანი  
 სად შედევებო ფუჭია:  
 სად შენი შრომის ნაყოფი  
 არ არის ერთი მუჭია.  
 ბართლაც რა მნიშვნელობა მატებს  
 მე, თუ ჩემს გულზე დაწერილი სა-

კითხვები პასუხს ვერ ეღიროსებიან. რი სთვის იხარჯება ჩემზე ენერჯია: ქალაქი, საღებავი და წებო? განა იმისათვის, რომ მე ფორმალურად გამოვიდე?

„აბრეშუმმა“ თავი ჩაღუნა და გახუნებულ კალთებით მდულარე ცრემლები მოიწმინდა.

— ეხ, ამოიხენე მან და განაგრძო წუწუნა: — ეხლა უკვე სამი თვე მისრულდება, რაც მე გაკრული ვარ, მაგრამ არავინ ჩემზე არ ზრუნავს. სამჭროს პარტუჯერდს დავაგვიწყდი; მიღწევაც ბიუროც აღარას ფიქრობს. მაგრამ ყველაზე უფრო მაინც ისა მწყინს, რომ მომიძულა ჩემმა რედაქტორმა. სალათაც გაამოიძინა და გამოფხიზლდებოდა ამ ხნის განმავლობაში.

— ეპ—ამოიხენე საქსოვ სამჭროს კედლის გაზეთმა „მქსოველმა“, გაიზმორა და სცადა სამი თვის წამე ბული სხეული დაეხსნა სამჭროს

კედლიდან, მაგრამ ამოდ, ნესტიან შავს ემოქმედა და საოცარი სიმავერით მიკვროდა კედელს.

— ერთ ბედ ქვეშ ვართ, აბრეშუმი, მე და შენ—უთხრა მან „აბრეშუმს“.

— ბედი არ გეწამს, სასტიკად შეგებრძოლოთ უმოქმედობას. ჩვენ ასე მოდუნებული ცხოვრება მოგეწყინდა, კმარა, კმარა; სიჩუმე—გაცხარდა კედლის გაზეთი „გრდემლი“.

— ნუ ბრახუნობ, ნუ ჰყვირი. — შეტყუარა „გრდემლს“. ღრმა ძილში მყოფი „წითელი მზარეული“. მან თავზე ხელი გადაისვა და ერთი მუჭა მტვერი ჩამოიხვეტა.

— ნუ მაწუნებ, უმოქმედობის კონკურსში ვარ ჩაბმული: აბა ნახე თუ პარტულობა არ მივიღო. ესეც ხომ საქმეა! — უკანასკნელ სიტყვებზე „მზარეული“ ჯადოსნურმა ძილია მოიტაცა და მან კვლავ ჩასთვლია.

ფაზისი.

# მწერალთა სასახლეში

(საქართველოში მწერალთა საზოგადოების ბარათების)



(ნიანგის სპ. აბანტის მიერ მოწოდებულ მასალებზედა)

## საქართველოში

მწერალთა სასახლეს გამოცემა ეტყობა. სასახლის დასახურებულ დარაჯს ამხ. გენოს სიხარულისაგან სახე უბრწყინავს...

სალომე (მწერალთა მიმღებ კომისიის მდივანი). რა უბედურებაში ჩავარდი! მთელი ერთი თვეა მოსვენება არა მაქვს, ხალხი როგორი დგას. ანკეტების ზეგნულად იერაყუთავდი. ნუ თუ საქართველოში ყველა მწერალია? (მემოლის გლახუნს ორკოფელი.

გლახუნს: გამარჯობა ყველას. მიცნობდეთ გლახუნს ორკოფელი ვახლავარ. ანკეტა მოგიტანეთ, თუმცა მე სააკებნო არაფერი მაქვს. (სალომეს) მადამაზელ მინდატს თქვენ იძლევი?

სალომე: — ჯერ თქვენი მიღების საკითხი უნდა გადაწყდეს.

გლახუნს: — (განეციურებით): რაო? უღაცეიტლნო ეიბოგუ, ამა რას ამბობო? მე ცნობილი მწერალი ვახლავარ. დიას ცნობილი! (სალომე ახედდახედავს და იყინას) ოკენი ეო, მადამაზელ, რას იყინო? გმუზნებით ცნობილი მწერალი ვარამეთქო, ზუნებით, ხასიათით და სურვილით...

სალომე: — (შეშინებული). — ამა, რას ზრძანებთ. ცნობილი მწერალი ზრძანდებით, უდიდესი მწერალი, თქვენს ანკეტას კომისია არც კი განიხილავს

გლახუნს: — (აღტაცებით): — ვაჰ, მადამაზელ, კარგი ქალი ყოფილხართ! (მემოლის პიკეო უჩრჩხაზარაოლი).

ამხანაგებო! (სალომეს) მიმღები კომისია აქ არის?

სალომე: — რა გნებავთ, ამხანაგო?

პიკეო: — რა გნებავს და თქვენი სიკეთე. რა უნდა მნებავდეს? უფლებებში აღდევნა. მე მწერალთა დედათაყიის წევრი ვარამდებოდი. (მემოლის მწერალთა მემოტანე პლატონ) აი, ამ ყმაწვილს შეეკითხეთ და ის გეტყვას. მე ნამდვილი წევრი ვიყავი მწერალთა დედათაყის, საიდანაც გამორჩეული ფეოფილვარ რავოვარც მივლარი სული. (პლატონს) ყმაწვილო მე მკეთარა სული ვარ? ხომ ზედაც (კოჩხალი ვარ? ამის აღსაღებებს ჩემი ნაწარმოებების ეს 20 ტომი.

ვიცი ზარონი ჩემას არადეკს დაბეჭდავს. — დიას არაფერს. არ მომწონს, ამხანაგო, ეს თქვენი ზარონი. ზოგს 800 გვერდის წიგნს უბეჭდავს და მე კი, ცნობილი მწერალს, რომელსაც 20 ტომი გამომსცია არაფერს ნიბეჭდავს. ამა ეოთი მოძახუხეთ, რით სჯობია „ქვა და რკინა“ იმ ჩემს რომანს, რით სჯობია მითქო. (პლატონ და სოლომონს. შეშინდებიან).

სალომე: ამხანაგო, ქვა და რკინა“ მხატვრ.

პიკეო: — რაო, რაო მხატვრულიაო! რას ბედავთ!

სალომე: ამხანაგო, თქვენ ცნობილი მწერალი ზრძანდებით, გენოსი მწერალი, უდიდესი მწერალი; დამშვიდებით ამხანაგო, თქვენ საკითხს არც კი დავსჯამთ მიმღებ კომისიაში.

პლატონი: — დიას, დიას, ამხანაგო პიკეო. თქვენს სურათს შევიძენ და ჩამოკალბებ. დიას, ჩამოვიკლებ...

პიკეო (გახარებული დაიწყებს ხეხივინს): გიტყობათ კეთილშობილი ხალხი ხარო. ნახვამდის. ყრილობას მანდარი სახლში გაამოიძაინეთ (პლატონი ოთახიდან გავარდება, სალომე თავში ხელს იცემს ია იარებს ჩაიკეტს).

სალომე: — მეტი კი აღარ შემიძლია. მწერლები კი არა გილები არიან. ნამდვილი გიოები. (მიმღებ კომისიის თავმჯდომარე კარზე აკატუნებს). უკაცრავად. დროს ანკეტებს. მიღება გათავდა, ხელს მოზრძანდით (ისმის ხმა: „მე ვარ, გამაოგ კარი“). შიშოლეს გამწმელ კომისიის თავმჯდომარე). სალომე (სალომეს). — რა დავებართია, სალომე? რათ ხომ არა ხარო?

სალომე: — არაფერია... (კოტა დავიდალი ოთახს. ხუთსი ანკეტა მივლი (ტიროსის დაწყებს) ამხანაგო სალომე, დახვდეთ გამაზნაფისოდლოთ ამ თბიბორებისაგან.

სალომე (ამშვიდობს მას): — არა უშავს ამხ. სალომე კოტე რამდენიმე დღე და ჩვენც მოგისიინბთ.

## საქართველოში

(სასახლის ბაღში. აივანზე, ფოიში მწერალთა ჯგუფება სახელოებენ კავშირის თაქმჯდომარის კანდიდატს).

ჯგუფი პირველი (მწერლები 1,2,3).

1 მწ. კავშირის თავმჯდომარედ ერთ-

ერთი ჩვენგანი უნდა დარჩეს.

2: — ცხადზე უცხადისია — თავმჯდომარე იქნება ერთი ჩვენგანი.

3: — ქართული მწერლობის მარილი ჩვენა ვართ, თამჯდომარე ერთ-ერთი ჩვენთაგანი უნდა გავიღვს.

1: — დასახელით ამხანაგებო:

2: — ჩემზე უფროსები თქვინა ხართ წლოვაობით. (თუმცა არა ლიტერატურული სტაჟით. დასახელით)

3: — ჩემის აზრით თავმჯდომარედ უნდა დავაზაროლოთ ჩვენგანი, რომლისაც შორი წიანი აქვს გამოცემული. მე სამი დიდი რომანზე ვამოციეც.

1: — (თავითვით) გვაბითურებს. თავისთავს ასახელებს. ჩემის აზრით გამოცემულ წიგნებს ჩაოლენობით არ შეიძლება თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება. მე კი ვფიქრობ, თავმჯდომარე კრიტიკოსი უნდა დარჩეს... თვენი ხომ იცით, რომ მე კრიტიკოს დიდი ხანია ვემსახურები, კრიტიკოს ლიტერატურის, მუსიკის, თეატრის, კინოს, ბალეტის და სხვა.

2: — (თავითავის): — ერთი შეხედვით ამ უსიარცხველს, თავისთავს როგორ გვაწონებს? მე კი ზღონია, თავმჯდომარედ პოეტის უნდა დავსახელოთ.

3: — (თავითავის): — ტყუილად იწუხებთ თავს. თავმჯდომარეობას არაფერს მოგცემს.

3: — (თავითავის): — (განო. ტიტე, ვახუშტი).


ვამო: — (ტიტეს) კავშირის თავმჯდომარეობა შენ უნდა იტყრო, მხოლოდ პრეზიდენტს და შენს თანამშრომელ ჩვენ უნდა დავთო.

ტიტე: — მეც ასე ვფიქრობ. თქვენ აუცილებლად პრეზიდენტში უნდა ვახვიდეო. ვახუშტი: — მე თანახმა ვარ ტიტე.

— შენ თავმჯდომარედ იყო, ხოლო შენ კი, ვანო, — პრეზიდენტის წევრად. თავმჯდომარის მოადგილედ კი ერთი ჩვენგანი.

ტიტე: — ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ხომ იცი თავმჯდომარედ მინდოშეაღს ასახელებენ. მწერლების 80 პროც. მას უკერხნაო.

6




ვანო: — ვაჰ, მინდოშეილი? მოკვდეს ვანიჩა თუ მინდოშეილი არ ვაშავოს ამ მეთოდით ეს. მწერლობაში კი არა და ამ საქმეში სპეციალისტი ვარ. ახლა არა იყო, მისი გენი მაქვს მიმღებ კომისიაში ჩემს წინააღმდეგ გამოსულა. უთქვამს — არაფერი დაუწერიაო.

მე არაფერი დამიწერია, თქვენ ხომ მაინც წაიკითხეთ ჩემი რომანი, რომლის დაწერა განზრახული მაქვს. პასპორტობ. მინდოშეილს უტყობებს თვალებს (გამოჩნდება მინდოშეილი. ვანო მელიასავით მიკონცულდება მასთან) სალომე ამხ. მინდოშეილს, ჩენი ჯგუფია.

მინდოშეილი: — ვიცი, ვიცი ამხ. ვანო თქვენა ჯგუფიც თავმჯდომარის კანდიდატად მყენებს, არა? გმადლობთ. მე კავშირის თავმჯდომარეობა არ მინდა. უარს ვაცხადებ.

გაღის. (მემღებო სტენა შემღებ ნომერში) მანი

პიკეო — (სტენა ტანიან წიგნებს მაგიდაზე დაყრის)? — უფ, რა მძაბია ის თბიბორიალი) ხუთი ფუთი კი იქნება, გამარჯობა



# ნიანგელები რკინისგზელებთან შესრულების შესამოწმებლად

ამას წინათ გამოშვებული იყო „ნიანგის“ საგანგებო ნომერი რკინისგზელებზე.

ამ ნომერში, მრავალ მიღწევებთან ერთად, ბევრ ნაკლებებზეც იყო მითითებანი.

ნიანგმა გადასწყვიტა გაეგზავნა საგანგებო ბრიგადა რკინისგზელებთან იმის შესამოწმებლად, თუ რამდენადაა სწორდება ეს ნაკლებებანი. მე წილათ მხვდა ამ ბრიგადის წევრობა და მგზავრობის აღწერა.

რკინის გზის სამმართველოს უფროსმა, ამხ. პოზდევევამ, მიგვიწვია სამგზავროთ თავის ვაგონში, მაგრამ ბრიგადამ ეს პარტიცეპმა უარყო, — სხვადასხვა ქორიკანობის თავიდან ასაცილებლად.

23 ივლისს, საღამოს რვის ნახევარზე, დაუგვიანებლად გავიდა მატარებელი თბილისიდან ბათუმისაკენ.

ვფიქრობდით, რომ თუ დილის რვის ნახევარზე არა, — ცხრის ნახევარზე მაინც ჩავიდოდით მწვანე კონტსზე, — ბათუმის მახლობლად, — სადაც ვაპირებდით ჩამოხტომას.

ბრიგადის მდივანს წინ დახედულოდა გამოეჩინა და თან წამოედლო სურსათი, თორემ სადგურების ბუფეტებზე იმედის დამყარება უაზრობა იქნებოდა.

საკლი გზა და გზა შევსებული იქნა კიტრების, ხილის და მურხანელი, — ქაინის წყალნარევი, — ღვინის წამომატებით და გვარიანი მსუყეთ ვივანშით.

ყველაფერი რიგზე მიდიოდა. სივრილის გამო ფანჯრები დახურული გეჭონდა და გარდა ამისა, სიფრთხილის გამო, მოსაპირავიც არაფერი წამოგვიღია თახ.

კარგი ვახშმის შემდეგ მშვიდად მიივცით თავი ტკბილ ძილს. მხოლოდ ვაგონის სახურავზე ძლიერი წვიმის თქაშუნმა გამოგვადვიდა წიფის გვირაბში გასვლის შემდეგ.

აღმოჩნდა, რომ დასავლეთ საქართველოში დიდი წვიმები ყოფილიყო, მაგრამ როგორც გავრცელდა ხმები ნიანგის ბრიგადის მოგზავრობის შესახებ; ამან იქონია, ალბად, გავლენა ატმოსფერულ წრებში, — წვიმა ხელათ შესწყდა და მშვენიერი ღარი დადგა.

ჩვენ დამშვიდებით ისევ ძილს მივეციით თავი დილს ცხრა საათზე გავიღვიძეთ იმ რწმენით, რომ — საცა. შვიდოდით დანიშნულ ადგილზე.

მაგრამ, ესარგებლათ რა ჩვენი ძილით, რკინისგზელებს ერთის მაგიერ — სამი საათი დაეგვიანებიათ.

ჩვენ სწრაფად შეუდექით დაგვიანების მიზეზის და დამნაშავეთა გამოჩვენებას, მაგრამ რკინის — გზელებმა აიშორეს თავიდან ბრალდება.

მატარებლის დაგვიანების მიზეზი აყო, თურმე, აღმოსავლეთ საქართველოში არსებული კარგი მშრალი, მარა გრილი, — ხოლო დასავლეთში — წვიმიანი დარები!

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მატარებელი თითქმის ყველა დიდი ხის ძირში ჩერდებოდა, სწორედ იქ აღარ გაჩერდა, სადაც დიდ ხეებს გარდა მშვენიერი მწვანე კონტსიც არის დ ჩამოხტომის ბლომით მსურველებიც.

ჩვენთან გაყო ეძნელებოდათ, ალბათ, რკინის — გზელებს და ამიტომ გავგიტაცეს მახინჯაურისკენ.

საიდანაც გავგო ჩვენი ჩამოსვლა ჩაქვის ჩაის საბჭოთა მამულის დირექტორს ამხ. ალ. კაჭარავას და მან წაართვა რკინის — გზელებს ჩვენი თავი მისი მიღწევების დასათვალისწინებლად.

სად ჩაი და სად ეროვნული პოლიტიკა, მაგრამ მას ეს საგნები გადაუკვანძავს ერთმანეთზე და წაგვიყვანა ბერძნების სოფელში კოლმეურნეობის და საბჭოთა მამულს შორის დადებულ შეთანხმების დასადასტურებლად.

შემდეგ ისე მოხერხებულად გავვაბა სულგუნების, ჭყინტი ლობიოსა და ბადრიჯანის, საცივისა და ადესას ღვინის მასალებიდან მოწყობილ ხაფანგში, რომ მოიგს გამოეძვებით იმისგან მატარებლის მასვლის დროს!

რკინის — გზელებმა თუმცა აღგვი თქვეს, რომ შეაჩერებდნენ მატარებელს მწვანე კონტსთან, მაგრამ მათი ნდობა უკვე აღარ გეჭონდა იმის შემდეგ, როდესაც დარსაც და ავდარსაც დასდევს ბრალი მატარებ-

ლის დაგვიანებაში და ისევ მახინჯაურისკენ გავემართეთ.

ბა.ომიდან საღამოს ათის ნახევარზე გამოსულ მატარებელს, მიუხედავად იმისა, რომ მთვარე ვერ არ იყო ამოსული და ბნელოდა, ვერ მოხერხებია მაინც დაგვიანება და დროზე მოვიდა მახინჯაურში.

ეს უსათუოდ რკინის — გზელებს მიერ მოწყობილი ეშმაკობა იყო ჩვენი თვალების ასახვევით, მარა მიღებული ვამოცილებების შემდეგ ფხიზლად ვიყავით და ველარ მოგვაცუყეს.

მართლაც ჩქარა გამოაშკარავდა მათი ეშმაკობა:

ჩვენი ბრიგადის ერთი წევრი ლანჩუთში უნდა ჩამომხტარიყო და იქ დარჩენილიყო დილაშდის, — იმის ვაჟსარკვევით, თუ რატომ ხდება ის; რომ ლანჩუთელებიც მუდამ და რსა და ავდარს აბრალევენ მინდვრებში დაუშუშავებს.

რკინის — გზელებს აინტერესებდათ ალბათ, თუ რა ამბავს გამოიწვევდა ლანჩუთში ჩვენი ბრიგადის წევრის განოჩენა და ამიტომ მოხერხებულათ ჩაადეს მატარებლის ერთი ვაგონი, რომლის ამოსაღებად დილაშდის ცოცხილობდნენ.

ჩამოხტარმა ბრიგადის წევრმა მოითავა რა საქმე ლანჩუთში, დილით დაბრუნდა სადგურზე მორიგი მატარებლით თბილისში გასამგზავრებლად.

მას სრულებით არ გაჰკვირვებია ის გარემოება, რომ აქვე დახვდა ის მატარებელი, რომლისგანაც წუხელის ჩამოხტა.

ჩვენც აღარ გავკვირვება, როდესაც გამოაჩენების შემდეგ ისევ ლანჩუთში ვივრძენით თავი.

ყველაფერი ცხადი იყო და გამოსარკვევი არაფერი დაგვჩინოდა.

თუმცა რკინის — გზელების ზნეჩვეულება ყოველივე გრძობიარობას დაუჩლუნგებს კაცს, მარა ჩვენ მაინც დიდი გატაცებით შეუუდექით ნარდის თანაჟს.

ას სამოცდა მეფერთმეტე ხელი თამაშისა დაუმთავრებელი დაგვჩა, რადგან მატარებელი უკვე გაჩქარდა თბილისის სადგურზე...



## ველოსიპედით ნადირობა

ფეხით შემოიარეს დედამიწა.  
პაროპლანით ხომ უფრო ჩვეუ-  
ლებრივია ჩვენს პლანეტაზე გადავ-  
რენა.

ველოსიპედი თავსაც შემოიარა ვილა-  
ცამ თურმე დედამიწა.

ერთის სიტყვით, მიღწევები  
გაქვს ტენხიკაში..

უიულ ვერნის ფანტასტიური ამ-  
ბები რეალურად იქცენ. მაგრამ  
არავის მოსვლია თავში აზრად ვე-  
ლოსიპედით ნადირობა და ეს აზრი  
მოუვიდა თავში სენაკის მონადირე-

თა კავშირს, რომელმაც თავის სავა-  
ქროში თავისი წევრებისათვის მოი-  
ტანა ველოსიპედი.

ვერავის გაგებდა ველოსიპედით  
ნადირობა. მით უფრო, რომ იგი  
(ველოსიპედი) ღირდა 1.600 მანეთი.

მაგრამ გამოჩნდა ადგილობრივი  
ფინგანის გამგე ჩიქობავა. შეიძინა  
ველოსიპედი და ფინგანის ხარჯებ-  
ში გაატარა.

— რატომ? — შეეკითხნენ მას

— ფინგანის საჭიროებისათვის ვი-  
ციდე ველოსიპედი.

— მაშინ ფინგანში უნდა იყოს  
ველოსიპედი და საჭიროების დროს  
უნდა ვისარგებლოთ.

— რას აძობთ, მე მიყიწნია და  
ზედ სხვა შეჯდეს. — გაცხარდა გა-  
მგე, მოახტა ველოსიპედს და მოკ-  
კურცხლა სანადიროდ ტყისკენ.

## „ჭკუის კოლოფი“

მართლა არავის ეგონოს, რომ ქა-  
ლაქის აღმასკომი კოლოფის ქარ-  
ხანაში ამზადებდეს კოლოფებს ჭკუის  
შესანახად.

— ჭკუა სად არის, რომ კოლოფი  
იყიდოს მის შესანახად! — ჩაილა-  
პარაკა გუშინ ვილაცამ

მაგრამ საქმე იმაშია, რომ...

ყველამ იცის გარდა აღმასკომის  
ზოგიერთ მუშაკებისა, რომ ფუნჯუ  
ლორი ზაფხულში ტფილასის აგა-  
რაკია. პაპანაქებაში ქალაქში გამო-  
ხუთული ხალხი ფუნჯულიორზე  
გარბის, დიდი მოძრაობაა.

სწორედ ეხლა ზაფხულში მოე-  
პრიანა აღმასკომს ტრამვაის ამ ლია  
ნდაგის აყრა და ახალის დიგება.  
ეს რა თქმა უნდა, კარგი საქმეა,  
მაგრამ ნუ თუ ამისათვის სხვა დრო  
არ გამოინახებოდა არც იმდენ სიმ-  
ძიმეს ატარებს ეს ხაზი, რომ აუცი-  
ლებელი იყოს მისი ასე საჩქაროდ  
გადაყვანა შპაოზი. მეჩუ და მუშაო-  
ბა მიინც იყოს. აპყარა ლიანდაგი და  
შიატოვა. ჯერ რუსთაველის გამზი-  
რი არ დამთავრებულა და რას ერ-  
ჩოდით სხვა ხაზებს?

ასეთ შემთხვევაში იტყვის ხოლ-  
მე ხალხი:

„გლახა მუშა უქმის ძალზე გახელ-  
დებო“

## იწვიათი გასვენება და დასაფლავება ქუთაისში

მაგელ ქუთაისის მწუხარების ურუ  
ანტელს უფლიდა მუსიკის სამგლოვი  
არო მარში.

თეთრი კუბო თავდაზურული  
იყო.

გულჩვილი მანდილოსნები არ  
ერიდებოდნენ პუდრისა და საღებავის  
წალეკვას და ცვარის ოღენა ცრემ-  
ლებს ღვრიდნენ.

— ვინ არის საწყალი! — კითხულო  
ბდენ გამვლელნი.

მუსიკას უკრავდა ქუთაისის თეა-  
ტრის ორკესტრი და კუბოს მისავე-  
ნებდა თეატრის ტენხიკური პერსო-  
ნალი.

ესენი დაღვრემილები, სახე დაღ-  
რეჭილები მიჰყვებოდნენ ცხედარს. ხო  
ლო მხიარულ გუნებაზე იყვნენ  
ჭირისუფლები: თეატრის დირექტო-  
რი სამხარაძე და მსახიობთა უმრავ  
ლესობა.

სამარის პირად დაასვენეს კუბო.  
სამარისებური სიროჟე განეთდა.  
ყველას აინტერესებდა — ვინ იწ-  
ვა კუბოში.

ჯაისმა მუსიკა: „შენ მსხვერპლი  
გახდი.. და კუბოს ახადეს სახურა-

ვი. შიგ არავინ აღმოჩნდა, მხოლოდ  
იდეა სანგარიზო ჩოქი და თეატ-  
რის ტენხიკურ პერსონალთა ხელფა-  
სის ნუსხა.


ტენხიკური პერსონალის დავაღე  
ბით ერთმა მათგანმა მიცვალეზულს  
სიტყვა უთხრა.

„ჩვენო ძვირფასო ხელფასო, შენ  
გიმსხვერპლა იმ ავანსებმა, რომელსაც  
თეატრის დირექტორი აძლევდა მსა-  
ხიობებს. თერთმეტი ათასი მანეთის  
ავანსმა შენ ბოლო მოგიღო და მით  
დაჭერივ — დაობლდა ჩვენი ჯიბე  
და ოჯახის ბიუჯეტი. აქ მოსულან  
შეხი ჯალათები და თავზე დამდგა-

რის დაგცინიან, მაგრამ ვინ იცის  
ეგებ მუშგლებიმა სიცილის მადა  
წაართვას. შენ კი, ჩვენო ძვირფასო  
იძინე გვერჯეობით და... ეშხ... ძნე  
ლია გამოშვიდობება, მაგრამ მშვი-  
დობით.

ერთხელ კიდევ გაისმა სამგლოვი-  
არო მარში და მიცვალეზული დაა-  
საფლავეს.

სალამოს თეატრის დირექტორ-  
მა ავანსისტ მსახიობებთან ერთად  
პანაშვიდი გადაიხრია სამიკიტნოში.







ზ.გ.  
32

— რატომ ყოველთვის დაკვირვია ეს სამკითხველი?  
— გაზეთები რომ არ დაიკარგოს და არ მოიპარონ!

## ნ უ ა რ ვ უ მ მ რ

გაზეთებმა რომ ერთი ამბავი ატეხეს წყალტუბოს მნიშვნელობაზე და აღნიშნეს, რომ რევმატიზმისათვის უებარი წამალიაო, ჩემ ცოლს მაშინვე ჭრონიკული რევმატიზმი აღმოაჩნდა. (როგორც ცნობილია, კურორტზე გასამგზავრებელ ქალის შეჩერება, ან მისი აზრის შეცვლა შეუძლებელია).

ქ. ქუთაისში რალაც მხოლოდ ოციორდე საათის ცდა მოგვიჩინა ავტოში ადგილის საშოვნელად.

წყალტუბოში გავიარე რევმატიკის, პიკინური აბაზანის, ექიმის, პურის წიგნაკისა და სხვა რიგები.

მესამე საათია ვდგავარ აბაზანაში შესა სეულ ბილითების რიგში, სადაც ასეთი ლაპარაკია:

— ჩემ ორ ბაღანას ვეციკავ, შეიდი საათიდან ვიდგე და ამინოჩი გევიტეცი პურის საქმეზე!—ამტყიცებს ერთი.

— ქალბო, მაგ ორ ბაღანას ფიცავს, და მე სამ ბაღანას გეფიცებ: გაათენდებიან აქანე ვარ და მაგ არ დამინახავს!—აცხადებს მეორე.

— კი იყო ბატონო, კი.

— მაგი შენი მეზობელია და იმიტომ უდგები

— კალკო, მაგ ქალები გათხოვულები არ მეგონა და ზოგს ორი და ზოგს სამი ბაღანე ჰყოლია.—იძახის კაცების რიგში.

დევნე ძლიერ ვდგევარ და ვფიქრობ:—რასაკვირველია, შეიძლება რიგი სულ არ ყოფილიყო, მაგრამ აქ რალაც ორმა მოსაზრებაა. ალბად გადაცმული ექიმი სუყველას გვათვალთვლებს და არკვივს: როგორი ავადმყოფი რამდენ საათს უძლებს ფეხზე დგომას, ვის რა ზომაზე აქვს ნერვები აშლილი და სხვა.

— ღმერთო ჩემო, რა გაუგებარი ხალხი ხართ, გათავდა სამუშაო საათები, ხვალ მოდით!—იძახის ბილეთის გამყიდველი და მაზი გოგონა და ჩვენს ცხვირწინ იხურება პატარა ფანჯარა.

შევიდევარ ბაღში.

— „შენი ქება გამოგია სხვაგანაა“—გაპკივის დანჯარულელი ხმით მედლოე „ზიო“ და ისმის გამაყრუებელი დოლის ბრახუნი (აქ არც კლუბი, არც თეატრი და არც

კინოა. ამათ მაგიერობას „ზიო“ ასრულებს).

ჩემს ყურადღებას ზარის რეცა იპყრობს და ერთ მოხუცს ვეკითხები:

— რატომ ტყვენ?

— წინედ, ბიძია, ზარს რომ დარეცდენ, პირველად იწყებენ და ეხლა შარვალს ინდიან, თუ „ოჩერედმა“ გაგიმართლა, გეიქეცი ვანაში! ეშმაკურად მითხრა მანძალზე დამაფიქრა ხმამალა მოლაპარაკემ. ეს აპარტი კურორტთა სამმართველოთა თავზეა მოწყობილი ისე ბაღლა, რომ ძირს ვერ წვდება. (ხმამალა მოლაპარაკე ალბად იმას ნიშნავს, რომ უძველად ძალიან ბაღლა უნდა იყოს).

წყალტუბოს კოოპერატიულ სასადილოში კოოდი უპუროდ სლთი მანეთი ღირს, ასე, რომ ბევრი გერც ბედავს შესვლას და მოცდენას ჭამაზე.

არა უშავს სამკითხველოსაც; სულ ღიაა ბოლო გაზეთები არ არის, გამგეს ვერ ნახავთ (ისე ამბობენ—გამგე კი ჰყავს).  
სიგონ-და






გზავლებით ისეთ შენობებს, რომელთა თვითნაყოფი სართული სხვადასხვა სტილით არის ნაშენები. ასეთი შენობა აი აქვე მოთავსებულ კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს. შენობებზე ახალი რაშენებების დროს საჭიროა ერთნაირი სტილის დაცვა.

ა ზ ა ს თ უ მ ა ნ ი ს ა მ გ ე ზ ი

ქალო, მე შენთვის ივანთე ფიქრი, აზრები, გუმანი, რა მშვენიერი ყოლილა კურორტი აბასთუმანი! როგორც იქნა შემისრულდა ჩემი დიდი ხნის წადილი ბიჭო, რა გემრიელია პანსიონატის სადილი.

ნაძვეს ველარ მოვაცილე იცეცებელი თიკლიბი; ითხუპნებთან პაპადით პანსიონატის ქალები. პაპიროსით ხელში, ქალო ნეტა რას დარანქები? ჩანს, გსურს ვინმეს, რომ ჩაასო სივარულის კლანკები.

ზოგჯერ ჩეხი თეთრი პური თავდება და მუქდება ცხადი არის ამიტომ ვინმეს ჯიბე სუქდება. დარბის, დაპტის და თამაშობს აბასთუმნის მერანი იღარ ჰყოფნის ლელის ნარდი, და თინკოს—მელანი.



ადვილად მისახვედრი ნახაბი

მესტია (წ. სვანეთი)

ნაბ. ქროტიკოვის

სალამი და გამარჯვება ჩემს მეგობარს ნიანგს ქებულს! ფოსტით ვგზავნი შენს საკბილოთ კვლავ საქონელს გასუქებულს. მასთან გეტყვი, როგორც სვანი, გულახდილათ საყვედურსა, რადგან აქეთ არვის კბილავ, ზოგიერთს არ უწევს ყურსა!

სასადილოს გამგე ამბობს „დარდი სულაც არ მაწუხებს, დღეს თუ მატლს ვყრი ლობიოში, ხვალე ჩავყრი მაკე ბუზებს! ფეხსაცმელების არტელი, არ აკეთებს არაფერსა, იქ ფეხსაცმელს თუ ეღირსე მოერგება მხოლოდ ცერსა.

ელსადგური გავვიუქმდა, რადიოც ზომ აღარ არის, მაგრამ გამგე კარგად არის მაგარი აქვს ისტიბარი!

სარეწაო კოლაკავშირზე მოგახსენებ მხოლოდ ავსა, ყველა ფინაჩ ხარა-ხურა არტელებში მოათავსა.

სამკითხველოც დაივიწყეს მისთვის არვინ აღარ ზრუნავს, გამგეც სხვაგან დასეირობს ციბრუტივით დაჭრის, ბრუნავს.

ძმა-ბიჭი.



— რამ გავახარა ახე ძალიან?  
— როგორ რამ გამახარა—ახალი მთვარე გამოჩნდა, აღბად დღეს გაზეთებს მივიღებ.

„ხორხოზნი მთასო“

სამტრედიის ბაზარში იმდენი ხალხი შეკრებილიყო რომ ტფილისის ზოგიერთი ბუზებით გამოტენილი სასადილო მომაგონდა. ჩამომსნდარი კოლმეურნე გლეხები, სხვადასხვა საკუთარ ნაწარმოებებს ასაღებდენ შეღავათიან ფასებში.

თანდათან შევედივარ ბაზრის შუა გულში და რაღაცა იშვით სურნელებსაგან ცხვირი ბურთოკრატს მუცელივით მეგრება.

ეს ნაგვის ამყროლებელი გორები ყოფილა.

ყოთ დღეილას რამდენიმე გაღეშოლს მოუყრია თავი, ხელში ღვინით სავსე ჭიქე ბი უჭირავთ ძმა-ბიჭურ სუბარში არიან გართულნი.

— ბიჭო ნიკოია, ეს გაუმარჯოს იმას... რას ვამბობდი?... ხო, გოუმარჯოს იმას, ვიცი კოლექტივის ვაჭრობა მოიგონა... და...  
— გოუმარჯოს... გაუმარჯოს!—ყველაშ ერთბაშად დასძახა და ღვინით სავსე ჭიქეში დასცალეს...

— „ხორხოზნი მთასო“ იფ რა იშვითი რამეა და... კილო შეიდი მანეთი „ხორხოზნი“ მთასო!—გაწყვიროდა ვიღაც ტანბრეცე კაცი, რომლის სიფათი ლევარსი როზრობა-მეს მოგაგონებდათ.

— თია, შენ კოლექტივის წევრი ხარ?— შეევიტოხე მას.

— აჰა რა ვარ! ხომ ხელდა თავგატენილივით გავყვირი „ხორხოზნი მთასო“ შეთქი!

— შერე კოლექტივის წევრმა კოლმეურნეობის სახელი არ უნდა იცოდე, რომ ასე დამახინჯებით ამბობ?

— რომელი კოლმეურნე შენ ნახე მაგ! ძველი გაქეპილი ვაჭარია!—გადმოძილაპარაკა ვიღაც მოქალაქემ.

ჟარაშხი.



# ნაღვერი

# შეკუდამ ისარგებლა

ზოგიერთ კოლმეურნეთა სავაჭრო  
ებში ბლომად მოიპოვებიან ყოფილი  
ჩარჩები.

გაზეთებიდან.

ნახ. ქოქიაშვილის.

როცა სამსახურიდან დაგბრუნდი, პატარა  
ჩემოდანი და სადილი მზად დამხვდა სუფ-  
რაზე.

მეტყობა ეს ამბავი.  
— ჩემოდანი და სადილი მზად! რისთვის?  
ჩატორი?

— ახლავე მოყლაპე სადილი. ჩატორი-  
ზელზე არ დაგავიანდეს!— მიბრძანა ცოლ-  
მა.

— მე არსად არ მივდივარ!

— ის მე ვიცი. ახლავე მოყლაპე-მეთქი!  
— და ცოლმა ძალით დამაგინა სკამზე სუფ-  
რისთანა— მოყლაპე-მეთქი. — გამიმეორა  
მან და დაიწყო:— წაღვერში წახვალ და  
ოთახს იჭირავებ!

რა საქირთა ბევრი ლაპარაკი.  
შთავარი ის არის, რომ მე უკვე წაღვერში  
ჩავდი ოთახის საშოვნელად.

— რაო! ორასი მანეთიო? ხა-ხა-ხა!—  
გადაიხარხარა სახლის პატრონმა, როცა მე  
ჩემი მაქსიმალური შეძლების ფარგლებში მო  
ვუზომე.

— ალბად გალხარდა. რომ აღდენი შეე-  
ძლო!

გავიფიქრე მე, მაგრამ..

— მიბრძანდით იანვარში და ორას მანე  
თად ეგებ მაშინ მოვაქირაოთ. ხუთასი  
თქვენთვის, თორემ სხვებს არც ხუთასად  
მივაქირავებ!— იყო სახლის პატრონის უკა-  
ნასატელი სატყვა.

მაზარში გავედი.

ბორჯომის რაიკოთავაჭმირის მუშაკი  
ყჩხობებოდა ადგილობრივ კოოპერატივის  
მუშაობებს:

— რა უფლებების ძალით თქვენ საქონე-  
ლი შეიძინეთ ჩვენს ნებადაურთველად და  
სასარავებო მცხოვრებთ?

— ავი არაერთხელ მოგმართეთ, რომ  
საქონელი მოგვწოდებოდათ, მაგრამ თქვენ  
არა გქონდათ!

— საქონელი არა გვაქვს, თორემ უფლე-  
რა კი გვაქვს, რომ ნება არ მოგცეთ თქვენ  
შეშლულად შეიძინოთ საქონელი.

— ცერძოდან ხომ არ შეგვიძინია!— ტვი-  
ლისში შევიძინეთ სახელმწიფო დაწესებუ-  
ლებიდან.

— არ გავქეთ უფლება, რომ უფროსს  
თავზე გადახატეთ და საქონელი შეიძინოთ.

— თქვენ თუ არ გავქეთ უნარი მუშაო-  
სასა და საქონლის შექმნის. — დავაბირე ლა-  
პარაკში ჩარევა, მაგრამ შემეშინდა ბორ-  
ჯომელ კოოპერატორის თვალების ბრიალას  
და თანაც უტბად მომგონდა ჩვენგებური  
თქმულება: „არამკითხე მოამბესო, მიბერტ-  
ყეს და მიადრესო“ (მიბერტყევა კი ცოლისა-  
გან სახლში მელოდა როცა გაწმობებული  
დაგბრუნდებოდი და ამიტომ შემოვიანსებ  
გვერდებში სიმარჯე).

— — —

იქვე მაზარში კოლმეურნეებმა ხილულყო  
ბა და მოსტენულობა მოიტანეს.

იფად ყიდდენ. მაგალითად, ფუთი მსხალი  
— 25 მანეთი.

სურსათი მალე გაასაღეს — შეიძინეს  
ადგილობრივმა „კოოპერატივმა“ სავა-  
ჭროებმა და ნაწილი — კერძომაც.

ფასები უტბად აიწია.

— ვანა ასე გესმით საკოლმეურნეო ვაჭ-  
რობა, რომ მაზარზე გამოტანილი საქონელი  
შეისყიდოთ?— ეცვარ მოვითმინე და შევე-  
კითხე „კოლმეურნე“ სავაჭროს გამგეს.



კულაკი: — ისეთი ქუდი შეგიკოვო, რომ კოლექტივში ნამდვილ  
გლებს-ტიტებს ვგადვ!



— მაშ.. კერძოებს არ უნდა ჩვეუდლოთ  
ხელში. ისინი სპეკულიაციას ეწევიან. ორ-  
მაგ ფასებში ჰყიდენ.

— თქვენ ხომ ორმაგ ფასებში ჰყიდით?

— მერე რა. შესდედ აი იმ აზრას—და  
მიმითითა აზრამდე. — ჩვენ „კოლმეურნეთა“  
სავაჭრო ფართ. ბარემ მოგება კოლმეურ-  
ნობას დაწირს.

ასე ესმით ზოგიერთებს საკოლმეურნეო  
ვაჭრობა. (ეს მართლ წაღვერში კი არ არის,  
ზეგარ ალავასა).

— 25 მანეთი ფუთი ნავთი. — ევაჭრებოდა  
მოაგარაკე ვილაც რკინისგზელს, რომელსაც  
ნავთი მოეტანა გასაყიდად.

— აბა ლენო ხომ არ გგონია შენ?  
ნავთი!

— ნუ თუ ასე ძნელია წაღვერში ნავთის  
მიტანა, რომ ბოლო მოედოს ამ საზოგადო-  
სპეკულიაციას ნავთზე. — ბრაზობდა მო-  
გარაკე მუშა.

— ადგილობრივად ნავთი არ ამოღის, ხო-  
ლო მოტანაზე თავს აჩვენს იცხებებს! —  
ჩაილაპარაკა ვილაც მიმავალმა.

— ერთს მაინც ვისადილებ და ისე გავ-  
ბრუნდები. — გავფიქრე და შევედი წყლის

პირას არსებულ სასადილოში, სადაც პია-  
ნინო უკრავს.

რატომღაც ლუკმა ყელზე მიდებოდა.  
მიკვირდა ეს ამბავი, მაგრამ როცა ანგარიში  
მოვითხოვე, მაშინ გამოიჩინა, ამის ზე-  
ზეხი.

— ცამეტი მანეთი და ცამეტი შუური! —  
მითხრა მსახურმა.

ცამეტი რომ ყველაფერი კვიმატია, ეს  
კარგად ვიცი, მაზა რა მაინც და მაინც  
13 მანეთი და 13 შუური.

— რა ამბავია ასეთი სიძვირე? — შევეკითხე  
მსახურს.

— აქ სასადილო კი არა, მეტყავეთა კავ-  
შირია! — ჩაილაპარაკა ვილაცამ.

— რა შუაშია მეტყავეთა კავშირი! —  
გამიკვირდა და შევეკითხე მიქმელს.

— მა რა არის, ხალხს ტყავს აძრობენ  
და ამიტომაც დაარქვეს ამ სასადილოს „მე-  
ტყავეთა კავშირის“ სასადილო!

— — —  
მე წამოვედი წაღვერიდან, როგორც  
იტყვიან, მძიმე შთაბეჭდილებებით.

წამოვედი, მაგრამ სახლში მისვლა ჯერ  
ვერ ვამბდენია.

# ქვეყანა

## ზომების მიღება:

ასკანა (გურია). ვინაიდან ადგილობრივი ფოსტის მუშები ნიანგის ყოველ ნომერში მოვლიან თავის თავზე წერილს, ამიტომ ამ „სიამოვნების“ თავიდან ასაცილებლად ისინი სრულად არ ატყაჩაოებენ „ნიანგს ასკანაში“.

## კვლი.

### გაუპიროვნების წინააღმდეგ:

**ზორაბაძე.** „ვაკტობს“ სავაჭრომ გაუპიროვნების მოსახლის მიწინააღმდეგე საქონელს დაუნიშნას ნოქარი, მაგრამ უკუღმართობა მოხდა: სულ აირია მონასტერი... უკაცრავად, სავაჭრო. ბარდა ამისა ნოქრების სიმრავლემ მალე გასწმინდა კოლოპერატივი საქონლისაგან.

## წილი.

### რენტეპეის სხივები

**სრმსილი:** ადგილობრივი კოლოპერატივის ნოქარი გვც. სოფრომამ გაშინჯეს რენტეპეის სხივებზე და მუცელში აღმოაჩინდა მთელი კოლოპერატივი. ვინაიდან მისი მკურნალობა შეუძლებელია, არავინ ზო. მებს არ ღებულობს კოლოპერატივიდან მის განთავისუფლებისათვის.

**შენიშვნა:** სოფრომამ ერთხელ „სამკურნალოდ“ მოთავსებულ იყო გამხალში, მაგრამ ულაპვ სენისაგან მაინც ვერ განკურნეს.

## მნახველი.

### ასალი სანახაობა

**სენაქი,** სენაკის ცენტრალურმა კლუბმა, ვინაიდან მისი წარმოდგენები ყველა სავალალოა, მაყურებელთა გართობის მიზნით ასეთი წერხი შემოიღო:

დარბაზში ბევრს სკამს მიმტვრეული აქვს მეთათხე ფეხი. ახალ მოსული მაყურებელი დაჯდომისას იატაკზე ბრაგვანს ადენს, რაც იწვევს მაყურებელთაში სიცილსა და ხარხარს.

## რ-ს.

### კვლის აღდგენა

**ნარაშენი** (ზუგდიდის რაიონი). ადგილობრივი სკოლის გამგემ შემოიღო ძველი წესით მოწაფეობის ცემა, რასაც ასაბუთებს ამნარიად:

ვინაიდან ზოგიერთი მოწაფე თავში სწავლას უჭირს შესვლა, ამიტომ გატეხილ თავში უფრო იოლად შევაო.

ცლა უკვე რამდენიმეჯერზე მოახდინა. ჯერ-ჯერობით შედეგი უარყოფითი.

## ზუსტმა.



— მეგობრებო, — მიმართა სადღეგრძელო მეცნიერ მუშაკთა დახურულ ჯანსაფ. (ფერის დაღმართი) გამგებელმა მინდორა ხშირად შევიდა სუფრის წევრებს. (ქეთი ხდება სასტუმრო „თელავში“). — ამხანაგებო, მოახლოვდა სახეჯეობის აპარატის წმენდა. საჭიროა ჩვენს მიერ წინასწარი ზომების ნიღება, თორემ წმენდა ისეთი დაუნდობელი რამ არის, რომ გაანიავენს ჩვენს შეყავშირებას.

**ელ. ლორია** (ხმა მარტყოფიდან): — კე, კე. მართალია. ჩემი მარჯვენა ხარ, მარჯვენა. შენ რომ არ მწყალობდეს, რა გვემელებოდა მარტყოფეებს აღარ გიცო.

**გვგენი დარმაძე:** — მოგიკიდეს მინდორა ჩემი თავი, თუ შენ წმენდა არ აგაკიდინო.

**ხმა იღუმალი:** — რას წერდენ თქვენზე ვაზ. „მუშა“-ში 10 ივნისს! **ევ. დარმაძე:** — რაც უნდა ის წერონ; წმენდაში მაინც არ მოვეყვებით.

**ხმა იღუმალი:** — რატომ გვონით?

**მინდორა:** — იმიტომ გვონია, რომ სახეჯეობაში უამრავი ბაბუები და ბებიები გვყავს.

**ხმა იღუმალი:** — ჩაბრუნების ქუჩაზე სამი ოთახიანი ბინა რომელი თანხიდან შეიძინო?

**მინდორა** (თავისთვის): — ეს საიდან გაიგეს?..

### წინასწარი ზომები

**ზორი:** გამოქვეყნდა ადგილობრივ ცეცხლის მქრობელ რაზმის უფროსის გაფრთხილება მცხოვრებლებს ბინადმი:

„ამას წინედ კოლოპერატივის დაწვამ დაგვარწმუნა, რომ საჭიროა რაზმმა ორი დღით ადრე იცოდეს მოსახლენ ხანძრის შესახებ, რათა წინასწარ იქნეს ჩვენ მიერ მიღებული ზომები, ვინაიდან ცხენები მინდვრად არიან გაშვებული საძოვრად და მათი დაჭერა საჭიროების დროს ძნელი ხდება. ამიტომ მცხოვრებლები ვალდებული არიან წინასწარ ჩაეწერონ ხანძრის რიგში, რომ ჩვენი მუშაობა გვემაშველი იყოს.“

## მა-ლა.

**ტარასი ღამუავა** (დასახლებულ დახურულ განმანათლებლის ნოქარი): — გერაფერი გაპიგია ამ ხალხის, რას ერჩიან მინდორას. ქიათურის კოლოპერატივში რომ ვმსახურებდი, მინდორაზე უარესს საქმეებს ვმეტვლი, მაგრამ აგერ აქ ორავული ტბაში ჩამომავდეს.

**ხმა იღუმალი:** — ასე გესმით თქვენ დახურულ განმანათლებლის მნიშვნელობა?

**მინდორა:** — აჰა, როგორ უნდა გვესმოდეს? დახურული სიზნავს — ძალულს, ჩუმს, განმანათლებელი — განაწილებს; ე. ი. მიღებულ საქათულის ჩუმად, მალულად განაწილებს...  
**ხმა იღუმალი:** — ვისზე?

**მინდორა:** — თავისთავზე...  
**ხმა იღუმალი:** — მე ვარ აგენტი ნიანგისა და იხილეთ ამბავი თქვენი „ნიანგსა“ შინა.

**მინდორა:** — ჩვენ ყველა გაზეთებში გავგწერეს, „ნიანგის“ № 10-შიაც ვევაგიტ „ჩაგდებული“, მაგრამ წმენდიდან ისე დავიძვრინეთ თავი, რომ წმენდაშიაც არ გავტარებულვით...  
**ხმა იღუმალი:** — ალბად მეტის-მეტი ჭუჭყისაგან შეუძლებელი იყო თქვენი გაწმენდა..

## ცეცხლი

### პრაქტიკაზე მუხრანში

ჩვენ მუხრანში მიგველინეს სამოსწავლო პრაქტიკაზე; დამპალოში ვმუშაობდით. ჩვენ ერთგულად ვაზის რგვაზე. სასადილო გვექონდა ცული, საქმე იყო არეული, სიბინძურე მას არ აკლდა მიგვედიოდა ყველას გული. სასადილოს გატეხი იყო ძველი ჩარჩი მიკიტანი, მზარეულსაც იმის გვერდით გაბერილი ჰქონდა ტანი. ვადამალეს სანოვანე და სურსათი შინ მიჰქონდათ, ჩვენ ხორცს ვამგე მიირთმევდა, სტუდენტთა საცხოვრებელში სტუდენტებს კი აღარ გვექონდა როცა მის ღორს მისცა ბინა. ღორტუნებდა ის ოხერი ღამე აღარ დაგვიძინა. **ორნი.**


(შორაპანი, ტყვის ამხრობის პარტია)

ტერის სამკურნელი შემოკრება, იდუმალ შქონდათ ყრილობა, აკაცო უთხრა ალექსის: „რატომ არა გაქვს ზრდილობა. ფიცხი კაცი ვარ, იცოდებ, არ მწამს რიგი და წესია, ქარხანაში ჩემს საქმეებს ნუ ამხელთ უკეთესია! გემა ჩავხადე გასულ წლის კადრებს გადავირე ტყავია, ვინც კრიტიკაში ჩამოიდა დღე დავიყენე შავია, ორმავათ ხარჯი ვავსარდო არ შევიწყუბე თავია, ეხლა ქარხანას ათარ აქვს თანხები საბრუნავია! სიტყვა მიბოძეთ, სიტყვა ვერბა (იცნობდეთ, იწყენერთ) რის საქმე, მხოლოდ სიტყვისავე მას ყველა მოუღებია! სხეტი ვარ, არას ვაკეთებ, შრომა რა ხანატრეგია. ხშირ მიუღონებთი ვაგეტოდა და ვავიბარე წელია. რაც ვავიკეთ ხომ იციო შედეგი ვერაფერია. მზა პროდუქტია ცუდია ხარისხი რა სათქმელია! დამკვერულებს ხშირად ვდევნიდი და ეს ხომ ჩემი წესია, მუშის ბინებში ჩავხახლდი სხეტი ვარ უდიდესია! წამოიდა დინჯათ ქარხნოში მშენებელთის ვერია, შრომა გადღესხა „ორატორს“ აიოი მონასტერია! სიტყვა: დამკვერულობა, შეგებრი შედეგებელ მოგონილია. სხალინის თქმანი თუმივა მაქვს სხვისაგან ვაგონილია. ამ წერილშიან, მცირე საქმეზე არ მაქვს დრო მოხატვილია.

დავბერდი, დაჩანაქდა ქარხნოშიაში დღენია. ხაწევროს ვერბავ თქმებს ვწერ და მეტი რა დამჩენია, პროფესუმათას შევსწირე დიდი ჰკუა და გენია. სიტყვა ალექსის ვეუთენის მართლაც, რომ პარტუჯრედი, ძმემო, ნუ იტყვიოთ საქმობას რაც თავზე ვადახნედი. აქტივისტი ვარ, იცოდეთ, ვამობ და გამსტეგია, ვაშენებ ტერის უფილაფერს არ კი გეგონოთ ყვედიას ხაწვათი ქერა ჩაქოლე დავაწუბლო შე ბედი, გეგმა ჩავხადე და სიტყვა ჩემთავ ვის ვაუბრედიას! ხაწვობს ვამგე კაცი ვარ იქ შრომით ნათესეგია, რაც მოხდა ყველას დაფარავს შიშობაზე მართუჯრედიას! ტრესტის მხარეგედიას წამოიდა (სხრტილია არის გვარადა, შრომათი ხდნაღის რაიონს) სიტყვა გულის გახახარადა აქა ამხუხა დავებწარ აფეროთ ვაქცეობას. საიოთხს ვამხუხა კარგი ვაქვთ ვიმტკიცებთ მამაცობას! კიქნაქს შარი მიადევი ხნა დავხეი დირექტორია, აკაცის ვიოთხით — სხირტლიაქ თუ მართლა პროტექტორია. ასოთახი წავეთ, ეგედი ხომ არაფერია, მიღწევა არის, რომ სულ მოიდაქ არ ვააცივთი კერია. მას, მოულოცოთ სამკურნელს დილოლოზე წარსადგენია, ქარხნოში დირექტორს ათახი პარტიაირებს დამარჩენია.

ვლ. ტყვისალი

გათიჯა გილჯიჯი



ვანდარაპალა: — როგორა გე კადრებთ, ყმაწვილებო!

ყლაააგა (აქვე) თანავგეკმნრებ, კრამ წყალი ვერ გადავიყლაპავთ „ტვილ-სოფლმრეწევი“, მაგრამ სამაგიეროდ, თქვენი წერილი ვადაყლაპა „ნიანგი“ს უფსკერო გოლომბა. და თუ „წერწყვის ულაპავით მოვლით თქვენი წერილის დაბეჭდვას“, — შეგძლიათ ისევე განავროთ ეს საბატო მუშაობა. შე კი კაცო, ამ წერილში ამდენი წყალია, და მინც მოგწყურდა!

„ნიორას“ (კუთახი, სოფ. მადლაკი) „კოლმურნეთა საბავშო ბავშვი ბეშეები არ არიან და მისი გამეგ არმოყობის მეტს არაფერს აკეთებსო“.

მა რა ჰქნას ქალმა, თუ კი სამუშაოა არა აქვს!

რე-ტეს (ხენაკი) თქვეს უსაყველურებო ცულ მუშაობასა და დიდდერობაში „სახოგადო კვებას“, „საქ. ვაქრობას“ და „სარე წიო კოოპს“, რომ ესენი უდიერად ეპურობიან მომხმარებლებსო.

ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ სამაგიეროდ თქვენც უდიერად ეპურობით ლექსის წერას და ჩვენც ვისაყველურებთ ასეთი ლექსის დაწერისათვის. ასეთი ლექსი კი არა, რუსთველის ლექსიც ვერ ახდენს გავლენას ასეთ შემთხვევებში.

„სულთვანს“ მილიცია არ გეგონოთ ჩენი რედაქცია, რომ თქვენსთანა ხალხს ლმოზიერად მოგპურას.

კობრონას (მცხეთა, ხე-ტყის ქარხანა). შა კარგად წიოიხნეთ თქვენს ლექსიდან ეს ადგილი, რომელიც თქვენს დალაქს (გერასმიეს) შეეხება:

ბლაგე დანას რომ დავხვებხს  
სულ მოლად დაილუბები,  
მუწუკები ამოვიგა,  
ღორივით გასუქლებო.

რატომღაც არ გვეკერა ჩვენ ასეთი ამბავი. მუწუკებისაგან როდის იყო, რომ კაცი სუქდებოდა და ასეც ლოლივით!

შაშანახ (გორისი, ჭიათურის რაიონი). ხუ თუ დავიჯეროთ, რომ თქვენს ექიმი ასე ჰლორის:

მე გორისის ექიმი ვარ,  
უნდა მომიცე ბლომად ფულიო.  
სახლში უნდა დამაბრუნო  
ხოშიანად ვადაკრულიო.

როდის ჰლორის ამას დაავილობადი, თუ შემდეგ? (მის აქვს მნიშვნელობა).

„სხვაობას“. საბტრედიო რომ არ დავეწერათ. იაბონელი გვეგობებოდით.

ნიანგოჯან, ყური მივდე  
სათქმელი მაქვს ბეგრი რამე.  
ამის გამო ვერ ვისვენებ,  
ძილი არ მაქვს დღე და ღამე.

განა ღირს ასეთი ლექსისთვის ძილის გატრება? ასეთი ლექსის დაწერას სჯობია დამით კი არა დღითაც იძინოთ.

რენტგენს (გორი). ვერ ყოფილხართ კი რენტგენი. ჩვენ ვავსინჯეთ რენტგენის სხივებით თქვენი ლექსი და შიგ ასეთი ლექსთა წყობა და რითმები აღმოჩნდა:

სახეირნო ახალ ბაღს  
ვერ ვადაღვავ ძმაო ფეხს,  
ან ნავავში ჩაყოფ თავს  
და ან კისერს მოიტებს.

ყოველ შემთხვევაში თქვენს ლექსზე უფრო ოდროჩილოდ აო იქნება გზა. კისერმოტენილი რითმებია; ალბად ბაღში სეირნობის დროს დასწერეთ ეს ლექსი.

# თქვეულება ცხოვრებაში

თაორტუნისტული მოპყრობა და კანკელარიული დაუდევრობა ჯერ  
ქრდევ არ აღმოფხვრილა მეცხვარეობის განვითარების საქმეში.

ნახ. კოკიაშვილის

გაზეთებიდან.



„მვარი—სხვარია, მავრამ თუ გაცხარდა ცხარია“